საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 სექტემბერი 2012 წ. ქ. ბათუმი

ბრძანება №01–09/415

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის შესახებ

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-53 მუხლების შესაბამისად, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52[1] მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-5 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების, 31-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 32-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტების, რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 01 მარტის №29 დადგენილების, განათლების და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, ასოც. პროფესორ მარინა ქორიძის, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალ-მცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ადამ მახარაძის, აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის პროფ. გაიოზ ფარცხალაძის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლებლად რსუ-ს შესაბამის ფაკულტეტებზე ჩარიცხულ იქნან მაგისტრანტობის კანდიდატები დანართი №1-ის შესაბამისად;

2. ბრძანება გამოქვეყნდეს რსუ-ს ფაკულტეტების დეკანატებთან და კანცელარიასთან განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე, ასევე რსუ-ს ვებგვერდზე;

3. წინამდებარე ბრძანება გაიგზავნოს გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოცემისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა №52), მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი ალიოშა ბაკურიძე